

შპს „3დ ჯორჯია“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "3დ ჯორჯია"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4915	46140	35504	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2594268	2422112	2832781	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	154940	103992	17882	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	784427	528186	247875	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	784427	528186	247875	
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1219			
ძირითადი საშუალებები	121694	107972	144526	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3661463	3208402	3278568	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	86095	63001	24073	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	123			
საგადასახადო ვალდებულებები	27942		51440	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	111			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	114271	63001	75513	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	971554	971554	971554	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	2575638	2173847	2231501	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	3547192	3145401	3203055	3.6
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3661463	3208402	3278568	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3538550	3100430	3134042	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	114271	63001	75513	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.				
დირექტორი: _____	მ. ბაღათურია			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "3დ ჯორჯია"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	4346342	3001320	3.4
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	4346342	3001320	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-918234	-872047	3.4
საერთო მოგება	3428108	2129273	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-973524	-1040797	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-15180	-16448	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-131396	-73945	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-164947	-146284	3.5
სულ საოპერაციო ხარჯები	-1285047	-1277474	
საოპერაციო მოგება	2143061	851799	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	1223		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-139110	-270849	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2005174	580950	
მოგების გადასახადის ხარჯი	-237585	-148337	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1767589	432613	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მკვავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1767589	432613	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3145401	3203055	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1346318	-829268	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-19480	339001	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3547192	3145401	3.6
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.			
დირექტორი: _____		მ. ბაღათურია	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "3დ ჯორჯია"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული:1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1262824	10636
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-30121	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1279002	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-46299	10636
სავალუტო კურსის ეფექტი	5074	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	46140	35504
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	4915	46140
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.		
დირექტორი: _____	მ. ზადათურია	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „**3დ ჯორჯია**“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 17 ოქტომბერს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 439408794. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №16ა, სართული 5, ბინა 38. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, კოსტავას 75 გ.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 03.05.2018 წ.-დან.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: რაჰიბ ჯაფაროვი, 4YHTMN9, C02091580 /აზერბაიჯანი/ – 25%; ალი ასგაროვი, C02082939 /აზერბაიჯანი/ – 25%; ისმიხან ჰასანოვი, 0UY8Z13, C02788842, C01059917 /აზერბაიჯანი/ – 50%. კომპანიის დირექტორია მარინა ბალათურია (პ/ნ 62001035196).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 32 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს

2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი

დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო დანიშნულებისამებრ, კომპანიის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5-9 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება შემდეგნაირად:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: 1 USD=2.7208 ლარი; 1 EUR= 2.9440 ლარი.

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	1124	
ლარი რეზიდენტ ბანკებში	3791	46140
სულ:	4915	46140

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი ფარმაცევტული საქონელი	782130	528186
ნიმუშები	172	
საწვავ-საცხები მასალები	2125	
სულ:	784427	528186

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2024	დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2024	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2023	დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2023
ოფისის აღჭურვილობა	15333	7164	8169	12919	5945	6974
ავეჯი და სხვა ინვენტარი	13230	2924	10306	4654	2459	2195
სატრანსპორტო საშუალებები	139330	36111	103219	121429	22626	98803
სრულად	167893	46199	121694	139002	31030	107972

3.4. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

როგორც 2024, ასევე 2023 წელს კომპანიის ამონაგები (2024 წ. – 4346342 ლარი, 2023 წ. – 3001320 ლარი) მთლიანად შედგება ფარმაცევტული და სამედიცინო დანიშნულების საქონლის (მათ შორის, დანამატების) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისგან, ხოლო მისი შესაბამისი რეალიზებული საქონლის თვითღირებულება – გაყიდული საქონლის თვითღირებულებისაგან (2024 წ. – (918234) ლარი, 2023 წ. – (872047) ლარი)), რომელთა ჩამოწერის დროს გამოიყენება საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდი.

გაყიდული საქონლის დაახლოებით 37% – გათავისუფლებულია დღგ-ისაგან.

3.5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი
მიწოდების ხარჯები	54589
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	4493
კომპიუტერული ხარჯები	4150
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	32495
დაზღვევა	5183
ელ.ენერგია, გაზი, წყალი და ანალოგიური	5595
საკომუნიკაციო ხარჯები	5456
საბანკო ხარჯები	19533
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები	16869
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	16584
სულ:	164947

3.6. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიაში პარტნიორთა მიერ შეტანილი კაპიტალი 971554 ლარია, რაც არ არის ასახული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიხედვით სამეწარმეო რეესტრში. შესაბამისად, იგეგმება სამეწარმეო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანა.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის უდიდეს ნაწილს შეადგენს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება, რაც 2024 წლის ბოლოსთვის 2575638 ლარია (2023 წლის ბოლოს – 2173847 ლარი).

კომპანიაში დივიდენდების გაცემა განხორციელდა როგორც 2024 წელს, თანხით – 1346318 ლარი (დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), ასევე 2023

წელს - 829268 ლარი (დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). განაწილებულ დივიდენდებზე გადახდილია მოგების გადასახადი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.7. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4915	46140	35504	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2594268	2422112	2832781	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	154940	103992	17882	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	784427	528186	247875	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	784427	528186	247875	
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1219			
ძირითადი საშუალებები	121694	107972	144526	3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3661463	3208402	3278568	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	86095	63001	24073	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	123			
საგადასახადო ვალდებულებები	27942		51440	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	111			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	114271	63001	75513	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	971554	971554	971554	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	2575638	2173847	2231501	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	3547192	3145401	3203055	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3661463	3208402	3278568	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3538550	3100430	3134042	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	114271	63001	75513	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამგეობის გადაწყვეტილებით 01.10.2025 წ.

დირექტორი:  მ. ბადათურია

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	4346342	3001320	3.4
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	4346342	3001320	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-918234	-872047	3.4
საერთო მოგება	3428108	2129273	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-973524	-1040797	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-15180	-16448	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-131396	-73945	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-207414	-146284	3
სულ საოპერაციო ხარჯები	-1327514	-1277474	
საოპერაციო მოგება	2100594	851799	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	1223		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-96643	-270849	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2005174	580950	
მოგების გადასახადის ხარჯი	-237585	-148337	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1767589	432613	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1767589	432613	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3145402	3203055	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1346318	-829268	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-19481	339002	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3547192	3145402	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.

დირექტორი:

მ. ბაღათურია

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "3დ ჯორჯია"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1262824	10636
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-30121	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1279002	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-46299	10636
სავალუტო კურსის ეფექტი	5074	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	46140	35504
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	4915	46140

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის ვადის 01.10.2025 წ.

დირექტორი:



მ. ბაღათური

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

